პროექტი
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილება №
-წლის -

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ

“ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის“ საქართველოს ორგანული კანონის მე-16 მუხლის მე-2 ნაწილის „ე“ ქვეპუნქტის, „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, მე-20, 21-ე, 22-ე მუხლების შესაბამისად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულო ადგენს:

მუხლი 1
დამტკიცდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების გეგმა მისი #1 დანართით და თანდართული გრაფიკული ნაწილით.

მუხლი 2
დადგენილება ძალაშია გამოქვეყნებისთანავე.

საკრებულოს თავმჯდომარე

დავით ვაჩაძე

დანართი #1

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა

თავი I

ზოგადი დებულებები

მუხლი 1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის საგანი, მიზნები და პრიორიტეტები

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა შედგენილია „სივრცითი მოწყობისა და ქალაქთმშენებლობის საფუძვლების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-19, მე-20, 21-ე და 22-ე მუხლების მოთხოვნათა შესაბამისად, წარმოადგენს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმის შუალედურ დოკუმენტს, რომელიც განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიულ სტრუქტურას, სივრცით კატეგორიებსა და მიწათსარგებლობის ძირითად პრინციპებს.

2. მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის მიზანია მუნიციპალიტეტის მთელი ტერიტორიის სივრცითი მოწყობის განვითარების პრიორიტეტებისა და სტრატეგიის თავმოყრა.

3. მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის პრიორიტეტებია:

ა) მდგრადი განვითარების წინაპირობების შექმნა;

ბ) ბუნებრივი და კულტურული მემკვიდრეობის დაცვისა და დასახლებათა განვითარების საკითხების ჰარმონიზება;

გ) მუნიციპალიტეტის სივრცით-გეგმარებითი განვითარება;

დ) ინვესტიციების მოზიდვის, მოსახლეობის დასაქმებისა და კონკურენტუნარიანობის გაზრდის მიზნით, საერთაშორისო პრაქტიკაში დანერგილი, თანამედროვე დასახლებათა დაგეგმარების, საინჟინრო-სატრანსპორტო, გარემოსდაცვითი მიდგომებისა და გადაწყვეტების გამოყენება;

ე) სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვის პროცესში საჯაროობის, ჩართულობისა და თანამონაწილეობის პრინციპების უზრუნველყოფა;

ვ) მუნიციპალიტეტის ისტორიული-კულტურული კავშირების, ისტორიული ლანდშაფტების დამახასიათებელი ნიშნების და ბუნებრივი ძეგლების შენარჩუნება;

ზ) სარეკრეაციო ტერიტორიების შენარჩუნება;

თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ბუნებრივი და კულტურული რესურსის შენარჩუნება, განვითარებისათვის ახალი საპროექტო არეალების გამოყოფა.

მუხლი 2. სივრცითი მოწყობის გეგმის თავსებადობა

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა განსაზღვრავს მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული განვითარების პოლიტიკას. მასში მოცემული დარგობრივი გეგმები და პროექტები წარმოადგენს სახელმძღვანელო დოკუმენტს ფიზიკური და იურიდიული პირებისთვის, აღმასრულებელი ხელისუფლების და თვითმმართველობის ორგანოებისთვის.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ქალაქთმშენებლობითი და ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები უნდა შეესაბამებოდეს სივრცითი მოწყობის გეგმას.

მუხლი 3. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის შემადგენლობა

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმა მოიცავს: ტექსტურ და გრაფიკულ ნაწილებს. ტექსტური ნაწილი მოიცავს: ხედვას და ნორმებს, გრაფიკული ნაწილი მოიცავს რუკებს. ეს ყველაფერი თავის თავში აერთიანებს ქვემოთ ჩამოთვლილ დისციპლინებს:

ა) სივრცის კატეგორიებს;

ბ) დასახლებათა სტრუქტურას და განვითარების ცენტრების იერარქიას;

გ) ძირითად საინჟინრო და სატრანსპორტო კომუნიკაციებს;

დ) ინფრასტრუქტურისა და სივრცით-ტერიტორიული განვითარების ძირითად გეგმარებით ღერძებს;

ე) დასაქმებისა და საცხოვრებლის განვითარების ადგილებს, სუსტად განვითარებული სტრუქტურის მქონე ტერიტორიებს;

ვ) სარეკრეაციო და საკურორტო ტერიტორიებს;

ზ) ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების წინაპირობებს;

თ) დაცული ტერიტორიების სისტემას;

ი) სოფლის მეურნეობის განვითარების ტერიტორიებს;

კ) სატყეო მასივის დაცვისა და განვითარების ტერიტორიებს;

ლ) წიაღისეულის მოპოვების ადგილებს;

მ) წყლის ობიექტებსა და წყალშემკრებ ტერიტორიებს;

ნ) მიწათსარგებლობის ძირითად პრინციპებს;

ო) სხვა მნიშვნელოვანი საზოგადოებრივი მიზნებისათვის გამოყენებულ ტერიტორიებს;

თავი II
ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცით-ტერიტორიული სტრუქტურა

მუხლი 4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სივრცითი მოწყობის გეგმის კატეგორიები

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში გამოიყოფა შემდეგი სივრცითი კატეგორია:
ა) განაშენიანებული (ურბანიზებული) ტერიტორია;
ბ) სასოფლო ტერიტორია;
გ) ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია.

მუხლი 5 ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განაშენიანებული (ურბანიზებული) ტერიტორია

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განაშენიანებული (ურბანიზებული) ტერიტორია არის თემებში შემავალი სასოფლო დასახლებები. განაშენიანებული (ურბანიზებული) ტერიტორია მოიცავს: დასახლების განაშენიანებული ტერიტორიას, რომელიც დაფარულია შენობა-ნაგებობებით და საპროექტო განაშენიანების ტერიტორიებით, რომელთა განვითარებაც უნდა მოხდეს მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის ან/და განაშენიანების რეგულირების გეგმის საფუძველზე.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში განაშენიანებულ (ურბანიზებულ) ტერიტორიაზე მშენებლობა უნდა განხორციელდეს ქალაქთმშენებლობით ან/და სანებართვო დოკუმენტაციის საფუძველზე. აღნიშნულ ტერიტორიებზე მშენებლობისას გათვალისწინებულ უნდა იქნას:

ა) ბუნებრივი და კულტურულ ლანდშაფტზე მშენებლობის გავლენის მინიმალური, უარყოფითი ზემოქმედება, მათ შორის ვიზუალური აღქმისა და ჩამოყალიბებულ გარემოსთან ადაპტაციის დაცვით;

ბ) სოფლის მეურნეობის განვითარება გარემოზე ზემოქმედების შეფასების მკაცრი დაცვით;

გ) კულტურული მემკვიდრეობის დაცვა-განვითარება საერთაშორისო და შიდა სამართლებრივი ნორმების დაცვით;

დ) მსხვილი საინჟინრო ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ გარემოზე, ისტორიულ-კულტურულ მემკვიდრეობაზე და სოციუმზე მისი ზემოქმედების სრულფასოვანი შესწავლა-შეფასებისა და საკომპენსაციო ღონისძიებების გატარების საფუძველზე. საკომპენსაციო ღონისძიებები მოიცავს მავნე ზემოქმედების შემცირებას, მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების მიზნით განხორციელებულ აღდგენა-რეაბილიტაციას;

ე) სპორტული და ტურისტულ-რეკრეაციული ინფრასტრუქტურის მშენებლობა ბუნებრივ და კუტურულ ლანდშაფტთან ადაპტაციის დაცვით.

ვ) ბუნებრივი საფრთხეებისგან დაცვის მიზნით, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

მუხლი 6 სასოფლო ტერიტორიები

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სასოფლო ტერიტორიები წარმოდგენილია სასოფლო დასახლებებისა და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების სახით.

2. სასოფლო დასახლების ტერიტორიები წარმოადგენს სოფლის დასახლებულ ნაწილს და რიგ შემთხვევებში შესაძლოა მოიცავდეს ურბანულ ტერიტორიას.

3. სასოფლო-სამეორნეო ტერიტორია შედგება სასოფლო-სამეურნეო მიწებისაგან, რომელიც გამოიყენება სახნავ-სათესად, სათიბად, საძოვრად. აღნიშნულ ზონაში, ქალაქთმშენებლობით დოკუმენტებზე ან/და სანებართვო დოკუმენტაციის საფუძველზე, დასაშვებია:

ა) სოფლის მეურნეობის ფუნქციონირებისათვის დამხმარე შენობა-ნაგებობების არსებობა, რომელიც ადაპტირებულია, ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ გარემოსთან, მინიმალურად ერევა კულტურული ლანდშაფტის ვიზუალურ აღქმაში, რაც გამოიხატება ფერის, ფორმის, მასალისა და რელიეფზე განლაგების ხერხების გამოყენებაში;

ბ) სასოფლო-სამეურნეო ნაგებობებისა და შინაური ცხოველების სადგომების განთავსება.

გ) სპორტული და ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა კულტურულ ლანდშაფტთან ადაპტირების პროექტის დამუშავების შემთხვევაში;

დ) ბუნებრივი საფრთხეებისგან დაცვის მიზნით, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

ე) საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა იმ ფორმით, რომელიც მინიმუმამდე ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით ვიზუალური აღქმის თვალსაზრისით) და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან ფერით ან მიწისქვეშ მოწყობის გზით.

4. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გეოგრაფიული მდებარეობიდან, მისი საკურორტო-სარეკრეაციო ფუნქციიდან გამომდინარე სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიაზე დასაშვებია შესაბამისი ინფრასტრუქტურის შექმნა.

5. ჰიდროელექტროსადგურების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (ელექტროგადამცემი ხაზების და მისადგომი გზების ჩათვლით) მშენებლობა დაუშვებელია მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების გარეშე. ორივე დოკუმენტი უნდა ეყრდნობოდეს ხარჯვითი და სარგებლის სრულ გარემოსდაცვით ანალიზს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა ასევე დაუშვებელია გარემოზე, ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე და სოციუმზე მისი ზემოქმედების სრულფასოვანი შესწავლა-შეფასების, მავნე ზემოქმედების თავიდან აცილების, მინიმალიზაციის, აღდგენა-რეაბილიტაციის დაცვით და შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების გარეშე.

7. ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია.

1. ბუნებრივ-ლანდშაფტური ტერიტორია არის ბუნებრივ-გეოგრაფიული კომპლექსი, რომელიც ძირითადად არ არის შეცვლილი ადამიანის საქმიანობის შედეგად, რომლის ფარგლებში ყველა ძირითადი კომპონენტი: რელიეფი, ჰავა, წყლები, ნიადაგები, ფლორა და ფაუნა იმყოფება რთულ ურთიერთკავშირში.

2. ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე ყველა ქმედება, რომელიც დაკავშირებულია ან გავლენას ახდენს პირველ პუნქტში ჩამოთვლილ ძირითად კომპონენტებზე უნდა წესრიგდებოდეს მათი მარეგულირებელი, საქართველოში მოქმედი, კანონმდებლობის შესაბამისად.

3. ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე სამშენებლო სამუშაოების განხორციელებამდე საჭიროა ბუნებაზე, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე შეფასდეს ქმედების უარყოფითი გავლენა. სამშენებლო სამუშაოების განხორციელების საფუძველი უნდა იყოს ქალაქთმშენებლობით ან/და სანებართვო დოკუმენტაცია.

4. ბუნებრივ-ლანდშაფტურ ტერიტორიაზე დასაშვებია:

ა) სტრატეგიული ხასიათის მაგისატრალური საინჟინრო-სატრასპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა;

ბ) ტურისტულ-შემეცნებითი და სამეცნიერო-კვლევითი დანიშნულების ობიექტები, დაცული ტერიტორიების ფუნქციონირებისთვის აუცილებელი შენობა-ნაგებობები და ინფრასტრუქტურა;

გ) სტრატეგიულ-თავდაცვითი მნიშვნელობის საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის განთავსება;

დ) ტრადიციული სოფლის მეურნეობის განვითარება;

ე) სპორტული და ტურისტულ-სარეკრეაციო ინფრასტრუქტურის მშენებლობა კულტურულ ლანდშაფტთან ადაპტირების პროექტის დამუშავების შემთხვევაში;

ვ) ბუნებრივი საფრთხეებისგან დაცვის მიზნით, უსაფრთხოების უზრუნველყოფისთვის აუცილებელი ღონისძიებების გატარება და შესაბამისი ინფრასტრუქტურის მშენებლობა.

5. ჰიდროელექტროსადგურების და მასთან დაკავშირებული ინფრასტრუქტურის (ელექტროგადამცემი ხაზების და მისადგომი გზების ჩათვლით) მშენებლობა დაუშვებელია მისი სტრატეგიული გარემოსდაცვითი შეფასების შემუშავების, განხილვისა და დამტკიცების გარეშე. ორივე დოკუმენტი უნდა ეყრდნობოდეს ხარჯვითი და სარგებლის სრულ გარემოსდაცვით ანალიზს. წინამდებარე პუნქტით გათვალისწინებული ობიექტების მშენებლობა ასევე დაუშვებელია გარემოზე, ისტორიულ-კულტურულ ძეგლებზე და სოციუმზე მისი ზემოქმედების სრულფასოვანი შესწავლა-შეფასების, მავნე ზექმოედების თავიდან აცილების, მინიმალიზაციის, აღდგენა-რეაბილიტაციის დაცვით და შესაბამისი საკომპენსაციო ღონისძიებების გარეშე.

მუხლი 8. ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების სარეკომენდციო წინაპირობები.

1. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ბუნებრივი ლანდშაფტის სტრუქტურის გაუმჯობესების, დაცვის რეგულირების მიზნით სივრცითი მოწყობის თვალსაზრისით ტერიტორიაზე გამოყოფილია შემდეგი, სარეკომენდაციო ხასიათის, ზონები და სივრცეები:

ა) ზურმუხტის ქსელის კანდიდატი ადგილები (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე) რომელიც მიზნად ისახავს მნიშვნელოვანი და მოწყვლადი სახეობებისა და ჰაბიტატების გრძელვადიან კონსერვაციასა და დაცვას. აღნიშნულ სივრცეში ქმედებები (სამშენებლო, სანებართვო, საპროექტო, კვლევითი და სხვა) უნდა ესადაგებოდეს ბერნის კონვენციის მოთხოვნებს (The Convention on the Conservation of European Wildlife and Natural Habitats). რეკომენდირებულია შეზღუდული იქნას ნებისმიერ ქმედება (მათ შორის: სამშენებლო/სამონტაჟო) რომელიც ხელს შეუშლის მისთვის სტატუსის მინიჭებას.

ბ) რაჭა-ლეჩხუმის ეროვნული პარკის სარეკომენდაციო არეალი (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე). აღნიშნული არეალში მიზანშეწონილია, გატარებულ იქნას ღონისძიებები, რომელიც ხელს შეუწყობს ეროვნული პარკის შექმნასა და დაცვას.რაჭა-ლეჩხუმის ეროვნული პარკის სავარაუდო არეალში რეკომენდირებულია შეზღუდული იქნას ნებისმიერ ქმედება (მათ შორის: სამშენებლო/სამონტაჟო) რომელიც ხელს შეუშლის მისთვის ეროვნული პარკის სტატუსის მინიჭებას.

გ) სადმელის და შაორი-ხიხათის აღკვეთილის სარეკომენდაციო არეალი (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე). აღკვეთილში მკაცრი კონტროლის პირობებში დაშვებულია ცალკეული განახლებადი რესურსების მოხმარება. დაცულია ორგანიზმთა იშვიათი, უნიკალური, დამახასიათებელი და საქართველოს „წითელ ნუსხაში“ შეტანილ, გადაშენების საფრთხის წინაშე მყოფ გარეულ ცხოველთა და ველურ მცენარეთა სახეობები და ეკოსისტემის ცალკეული მნიშვნელოვანი კომპონენტები. ნებადართულია სამეცნიერო კვლევა, საგანმანათლებლო საქმიანობა, აღდგენითი საქმიანობა, კულტურული ტურიზმი, რეგულირებული თიბვა და ძოვება, მონიტორინგი, ადმინისტრაციის თანამშრომელთა გადაადგილება ტრანსპორტით საჭიროების შემთხვევაში, საგანგებო მდგომარეობის (სტიქიური მოვლენები და სხვა) და აღდგენითი სამუშაოების ჩატარების მიზნით ავტო-მოტო, და საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილება. აკრძალულია ტყის ჭრა და ნადირობა

დ) შარაულას კანიონის და ქვაბტაკირის მღვიმის, წყაროს და ჩანჩქერის ბუნების ძეგლის სარეკომენდაციო არეალი (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე). აღნიშნულ სივრცეში დასაშვებია: სამეცნიერო კვლევა, საგანმანათლებლო საქმიანობა, აღდგენითი საქმიანობა, ეკო და კულტურული ტურიზმი, რეგულირებული თიბვა და ძოვება, მონიტორინგი, საგანგებო მდგომარეობის (სტიქიური მოვლენები და სხვა), აღდგენითი და სამშენებლო სამუშაოების შესრულების მიზნით ავტო-მოტო, საჰაერო ტრანსპორტით გადაადგილება, ადმინისტრაციის ზონის კანონმდებლობით დადგენილი დაცვის რეჟიმის განხორციელებისათვის აუცილებელი ღონისძიებების შესრულება (ადმინისტრაციის ზონის ფიზიკური დაცვა), ვიზიტორთა სპეციფიკური მომსახურება, ვიზიტიორთა მომსახურებისთვის აუცილებელი ინფრასტრუქტურის ქსელის შექმნა, გარემოსდაცვითი მოთხოვნების მკაცრი დაცვით. ძოვება, ხის ჭრა და ნადირონა აკრძალულია.

ე) ხვანჭკარის მიკრო ზონა (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე). ამ ზონაში დაუშვებელია დაუსახლებელი და სასოფლო-სამეურნეო ტერიტორიების განაშენიანება. დასაშვებია: მიწების სავარგულებებად ქცევა, ფერდობების სტაბილიზაცია, ვაზის გაშენება, საინჟინრო-ინფრასტრუქტურის იმ ფორმით მშენებლობა, რომელიც არ ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და ხვანჭკაის წარმოებასთან დაკავშირებულ ისტორიულ-კულტურულ კონტექსტებსა და შესაბამის ლანდშაფტებზე (განსაკუთრებით კი ვიზუალური აღქმის სივრცეები) მათი მაქსიმალურად შენარჩუნების თვალსაზრისით და შესაბამისად ადაპტირებულია გარემოსთან ან ფერით, ან ფორმით, ან მიწისქვეშა გადაწყვეტებით. განაშენიანებული და სასოფლო ტერიტორიებზე კონკრეტული სივრცითი განვითარება (ურბანული, სასოფლო და აგრო განაშენიანება) ეფუძნება შესაბამის კვლევებზე დაყრდნობილ სპეციალურად ამ ზონისთვის დამუშავებულ მიწათსარგებლობის გენერალური გეგმას. დასახლებულ ტერიტორიებზე განაშენიანიანება რეგულირდება დასახლებების განაშენიანების რეგულირების გეგმებით, რომლებიც ითვალისწინებენ ხვანჭკარის მიკრო-ზონის აგრარულ- და აგრო-ტურისტულ სპეციფიკას. სივრცითი განვითარება ეფუძნება მკაცრი დაცვის კონტექტს.

ვ) ურავის ეკოლოგიური რემედიაციის (გაჯანსაღების) არეალი (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე). ყველა ქმედება უნდა უკავშირდებოდეს ეკოლოგიურად დეგრადირებული სივრცის სრულფასოვან გაჯანსაღებას. ბუნებრივ-ეკოლოგიური წონასწორობის აღდგენისა და მდგრადი ლანდშაფტის პირობების შექმნის მიზნით საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკით, არსებული ეროვნული და საერთაშორისო სამმართლებლივ-ინსტიტუციონალური მოწყობითა და მეთოდოლოგიური მიდგომების დანერგვით.

ზ) სამერცხლეს სამთო-საკურორტო ზონა (სარეკომენდაციო სტატუსის სივრცე). ამ ზონაში დაშვებულია სამთო-სათხილამურო კურორტისათვის დამახასიათებელი ინფრასტრუქტურის (მათ შორის 2000 კაციანი ალპური კომპაქტური დასახლება) მშენებლობა. აღნიშნული ზონა, საუკეთესო მსოფლიო პრაქტიკის გამოყენებით, ინტეგრირებული უნდა იყოს არსებულ ლანდშაფტურ გარემოში და უნდა ეფუძნებოდეს განაშენიანების რეგულირების გეგმას.

2. ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ისტორიულ-კულტურული ლანდშაფტის დაცვის მიზნით გამოიყოფა შემდეგი სარეკომენდაციო სივრცითი ზონები:

ა) კულტურული ლანდშაფტის მკაცრი დაცვის ზონა. კულტურული ლანდშაფტის მკაცრი დაცვის ზონის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა შესაძლებელია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების ინტეგრირებული დოკუმენტაციის საფუძველზე. სოციალური მომსახურების ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა შესაძლებელია ქალაქგეგმარებითი დოკუმანტაციის დამუშავების, განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე. ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები დაფუძნებული უნდა იყოს შიდა კანონმდებლობისა და ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენცია"-ზე. მოცემულ სივრცეში საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: იგი არ ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე; ვიზუალურად ადაპტირებულია გარემოსთან ფერით, ფორმით ან მიწისქვეშა გადაწყვეტებით. საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის

მშენებლობის დასაშვებობა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი კვლევების, გეგმების და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

ბ) კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონა. კულტურული ლანდშაფტის დაცვის ზონის სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა შესაძლებელია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების , მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების ინტეგრირებული დოკუმენტაციის საფუძველზე. სოციალური მომსახურების ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა შესაძლებელია ქალაქგეგმარებითი დოკუმანტაციის დამუშავების, განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე. ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები დაფუძნებული უნდა იყოს შიდა კანონმდებლობისა და ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენცია"-ზე. მოცემულ სივრცეში საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: იგი არ ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე; ვიზუალურად ადაპტირებულია გარემოსთან ფერით, ფორმით ან მიწისქვეშა გადაწყვეტებით. საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასაშვებობა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი კვლევების, გეგმების და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

გ) კულტურული ლანდშაფტის რეგულირების ზონა. კულტურული ლანდშაფტის რეგულირების სივრცით-ტერიტორიული დაგეგმვა შესაძლებელია ისტორიულ-კულტურული საყრდენი გეგმების, მიწათსარგებლობის გენერალური გეგმებისა და განაშენიანების რეგულირების გეგმების ინტეგრირებული დოკუმენტაციის საფუძველზე. სოციალური მომსახურების ინფრასტრუქტურის ობიექტების მშენებლობა შესაძლებელია ქალაქგეგმარებითი დოკუმანტაციის დამუშავების, განხილვისა და დამტკიცების საფუძველზე. ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები დაფუძნებული უნდა იყოს შიდა კანონმდებლობისა და ,,ევროპის ლანდშაფტების კონვენცია"-ზე. მოცემულ სივრცეში საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობა დასაშვებია მხოლოდ იმ შემთხვევაში თუ: იგი არ ახდენს უარყოფით გავლენას ბუნებრივ, სოციალურ და კულტურულ ლანდშაფტებზე; ვიზუალურად ადაპტირებულია გარემოსთან ფერით, ფორმით ან მიწისქვეშა გადაწყვეტებით. საინჟინრო-ტექნიკური ინფრასტრუქტურის მშენებლობის დასაშვებობა დადასტურებული უნდა იქნას შესაბამისი კვლევების, გეგმების და საპროექტო დოკუმენტაციის საფუძველზე.

მუხლი 9. მდინარის წყალდაცვითი ზოლი

1. მდინარის წყალდაცვით ზოლად მიჩნეულია მისი მიმდებარე ტერიტორია, რომელშიც მყარდება სპეციალური რეჟიმი წყლის რესურსების გაბინძურების, დანაგვიანების, მოლამვისა და დაშრეტისაგან დასაცავად. წყალდაცვით ზოლში შეიძლება შეტანილ იქნეს მდინარის მშრალი კალაპოტი,მისი მიმდებარე ტერასები, შემაღლებული და ციცაბოფერდობიანი ბუნებრივი ნაპირები, აგრეთვე ხევები, რომლებიც უშუალოდ ემიჯნება მდინარის ნაპირებს.

2 მდინარის წყალდაცვითი ზოლის სიგანის ათვლის წესი განსაზღვრულია წყლის შესახებ საქართველოს კანონით. ამ ზოლის ფარგლებში აკრძალულია:

ა) მშენებლობა ან მოქმედი საწარმოების გაფართოება და რეკონსტრუქცია, გარდა კანონით პირდაპირ დადგენილი შემთხვევებისა;

ბ) საჰაერო დაფრქვევის გზით მრავალწლოვანი ნარგავების, ნათესი კულტურებისა და ტყის სავარგულების შეწამვლა შხამქიმიკატებით;

გ) მინერალური სასუქებისა და შხამქიმიკატების, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული ნებისმიერი სახის ნარჩენების შენახვა, დაგროვება და განთავსება.

3. წყალდაცვით ზოლში განლაგებული ჰიდროტექნიკური ნაგებობანი, როგორც წესი, უნდა აღიჭურვონ სათანადო ტექნიკური საშუალებებით, რათა მთლიანად გამოირიცხოს მდინარის გაბინძურებისა და დანაგვიანების შესაძლებლობა.

10. სხვადასხვა კომპონენტების თანხვედრა

შესაძლებელია სივრცითი მოწყობის გეგმაში განსაზღვრული ტერიტორიები, ზონები, ზოლები და სივრცეები კვეთავდეს ერთმანეთს. ასეთ შემთხვევაში არცერთი კომპონენტის მოთხოვნა არ უნდა დაირღვეს.

თავი III
გარდამავალი დებულებები

11. გარდამავალი დებულებები

1. წინამდებარე სივრცით-ტერიტორიული გეგმის საფუძველზე მომზადდეს ამბროლაურის მუნიციპალიტეტში შემავალი თემებისა და სოფლების ქალაქთმშენებლობითი დოკუმენტაცია.

2. ეთხოვოს უფლებამოსილ ორგანოებს გაატარონ კანონით დადგენილი ღონისძიებები წინამდებარე სივრცით-ტერიტორიული გეგმით გამოყოფილი საპროექტო-სარეკომენდაციო ტერიტორიებისათვის შესაბამის სტატუსის მისანიჭებლად.